



# ბორჯომი

28 ივლისი  
ხუთშაბათი  
2022 წელი  
№30 (9240)

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან **ფასი 40 თეთრი**

## გაიძარცვინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ლაშო ზაქარაიძე

გაიძარცვინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ლაშო ზაქარაიძე. დეპუტატებმა მოისმინეს და დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სარეგისტრაციო ანაზღაურების წესი.

ცვლილებები შეიტანეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №54 დადგენილებაში. დაამტკიცეს სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტოსთვის მიწიქვეშა უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯაროო ქვეითისა და საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების, მათი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშების, ჯარიმის გადახდის, გასაჩივრებისა და სააღსრულო ფურცლის გამოწერის წესი და ცვლილებები შეიტანეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ დებულების დამტკიცების თაობაზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ივნისის №14 დადგენილებაში.

მხარი დაუჭირეს ქ. ბორჯომი, თამარ მეფის №31 მდებარე მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გაცემას.

მოისმინეს და მხარი დაუჭირეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ინფრასტრუქტურისა და ზედაშენიანების სამსახურის ევროპის ზურაბ კორძაიას ანგარიში 2022 წელს განსახორციელებელ პროექტების მიმდინარეობის თაობაზე.

ცნობად მიიღეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2021 წელს განხორციელებული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს ა(ა)იპ „ბორჯომის სოფლის წყალი“-ს სამსახურის უფროსის გიორგი ოქრუაშვილის ანგარიში 2021 წელს განხორციელებული მუშაობის შესახებ. დაამტკიცეს ბაკურიანში მდებარე გეოგრაფიული ობიექტის (ქურა) სახელდების შესახებ.

ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №17 განკარგულებაში.

## საქართველოს მოსახლეობა კატასტროფულად მცირდება

გაერომ მსოფლიოს ის 20 ქვეყანა დაასახელა, სადაც მოსახლეობის რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში საგრძობლად შემცირდა. საგულსხმო ფაქტია, რომ იმ 20 ქვეყნიდან, 18 ევროპის კონტინენტზე მდებარეობს. გამონაკლისი მხოლოდ იაპონია და კუბაა.

საქართველო ამ არასახარბიელო მე-16 ადგილს იკავებს. პირველ ადგილზე კი 22 პროცენტით კლებით სამხრეთაღმოსავლეთი მოხვდა. საგანგაშო ფაქტია, რომ 2059 წლისთვის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა სულ მცირე 1,80 პროცენტით შემცირდება.

გარდა ამისა, გაერომ დაასახელა ის ქვეყნები, რომლის მოსახლეობის რაოდენობა კოლონიალურად იზრდება. ჩინეთთან და ინდოეთთან ერთად, მეცნიერები დემოგრაფიული აფეთქებას ახლა აფრიკის კონტინენტზე ელოდებიან.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენც მოვხვდებით იმ ერებს შორის, სადაც მოსახლეობის რაოდენობა ყოველდღიურად მატულობს და ახალ-გაზრდავდება.

(თემის გაგრძელება მეორე გვერდზე)

## მოიხიენ თვალსაზრისს და უსაფრთხოების საკითხები



საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის გამოწვევები და ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მნიშვნელობა, აღნიშნულ საკითხებზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის უფროსი - ნიკოლოზ სატაშვილი უძღვებოდა, რომელსაც ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები დაესწრნენ. სადისკუსიო ფორმატში გამართული შეხვედრისას განიხილეს სამომავლო გეგმები, დასახეს ამოცანები და მათი მოგვარების გზებზე იმსჯელეს.

„დასავლური ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“ - აღნიშნულ პროექტს „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან ერთად, სახელმწიფო დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

## ახალი ლიტერატურული პრემია „ანა“



ქალბატონი საინისტრატო ახალი ლიტერატურული პრემია „ანა“ დააფუძნა. საპრემიო ქალბატონი, სპორტისა და ახალგაზრდობის საინისტრატო ახალი ლიტერატურული პრემია „ანა“ დააფუძნა. ქალბატონი სპორტისა და ახალგაზრდობის საინისტრატო ახალი ლიტერატურული პრემია „ანა“ დააფუძნა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ახალი ლიტერატურული კონკურსი, რომელიც ქალბატონი და ქალ მწერლებს ეძღვნება და ახლა კალანდადის სახელს უკავშირდება, ყოველწლიურად, ივლისში გამოცხადდება და მისი ძირითადი მიზანია ქალ ავტორების ხელშეწყობა, წარმოჩენა და წახალისება. ამასთან, ერთი ნომინაცია შეეხება როგორც ქალ, ისე მამაკაც ავტორებს და გაიცემა ნაწარმოებისათვის, რომელიც ქალის თემას ეძღვნება.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ (გამომცემლებს/საგამომცემლო სახლებს) და საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს. კონკურსის ფარგლებში განიხილება კონკურსის გამოცხადების წინა წელს წიგნად გამოცემული თანამედროვე ქალი ავტორის/ების ქართულენოვანი ან/და ქართულ ენაზე თარგმნილი უცხო ენაზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები.

- პრემიის მიზანშეწონილი ნაწარმოებები:**
- ქალი პროზაიკოსი - საუკეთესო პროზაული კრებულისთვის;
  - ქალი პოეტი - საუკეთესო პოეტური კრებულისთვის;
  - ქალი მთარგმნელი - საუკეთესო თარგმანისთვის;
  - ქალის თემაზე შექმნილი საუკეთესო ნაწარმოების ავტორი.

თითოეულ ნომინაციაში პრემიის ოდენობა შეადგენს 5 000 ლარს (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით); კონკურსის გამარჯვებულს ასევე გადაეცემა სიგელი. ერთი და იმავე პირის მიერ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვების შემთხვევაში, პრემია გაიცემა თითოეული ნომინაციისათვის.

პირობების თანახმად, კონკურსის უფლებამოსილია, საკონკურსო განაცხადი წარმოადგინოს სხვადასხვა ნომინაციაში, თუმცა, ერთ ნომინაციაში შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთი ნაწარმოების/კრებულის წარდგენა. კონკურსის გამარჯვებულების გამოვლენისა და მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენის მიზნით, მინისტრის მიერ ყოველწლიურად შეიქმნება ლიტერატურის სფეროს აღიარებული სპეციალისტებისაგან შემდგარი საკონკურსო კომისია, 5 წევრის შემადგენლობით.

წლებანდელი კონკურსის ფარგლებში, განაცხადები მიიღება 2022 წლის 20 ივლისიდან 22 აგვისტოს 12:00 საათამდე სამინისტროში, მისამართზე: თბილისი სანაპიროს ქ. 4, მატერიალური სახით ან სამინისტროს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - [info@culture.gov.ge](mailto:info@culture.gov.ge) ელექტრონული დოკუმენტის სახით.

კონსულტაციები შესაძლებელია სამინისტროს ცხელი ხაზის საშუალებით ტელეფონის ნომერზე 032 2 022229, ან მოხ: 599 877 816.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება მიმდინარე წლის დეკემბერში.

საკონკურსო პირობები და დეტალური ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: <https://cutt.ly/mLBhmjif>

## მიმდინარეობს ახალი პროფესიული კოლეჯის მშენებლობა

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ბორჯომში ახალი კოლეჯის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს, რომელიც სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების თანამედროვე პროფესიული განათლების უახლესი სტანდარტების გარემოში დაუფლებას 2023 წლიდან უზრუნველყოფს.



250 სტუდენტზე გათვლილ სასწავლო დაწესებულებაში მოეწყობა თეორიული სწავლების აუდიტორიები, ლაბორატორიები, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა, კაფეტერია, ლია სპორტული მოედანი და სარეკრეაციო სივრცე; აღიჭურვება უახლესი ინვენტარითა და ტექნიკით; შენობა სრულად იქნება ადაპტირებული სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის.

კოლეჯი აქტიურად ითანამშრომლებს როგორც კერძო სექტორთან, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობასთან. ბორჯომის პროფესიული კოლეჯის მშენებლობას საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს და მისი ღრუბულება თ მილიონამდე ლარია. სამუშაოების მიმდინარეობას სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი **ლევან სუს-იტაშვილი** ადგილზე გაეცნო.

სასწავლებელში დაინერგება როგორც მოკლევადიანი, ისე მოზადება-გადამზადების კურსები ზრდასრულებისთვის, ასევე, სადიპლომო და საშუალო პროფესიული პროგრამები. ძირითადი აქცენტი გაკეთდება ტურიზმისა და მასპინძლობის მიმართულებასა და რეგიონისთვის მნიშვნელოვან პროფესიებზე, კერძოდ: სატყეო, ხის გადამამუშავების და სხვა მიმართულებები.

მშენებლობა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით, ევროსტანდარტების შესაბამისი, ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენებით მიმდინარეობს.

## ისპოდ ქართული სიმღერის ჰანგები



როულ) პარკში, ლა ცის ქვეშ ქართული ცხტრადის მომღერლების - ნეკა სუბო სვერდის, აიკო ნიფარაძის, დავით ნოზაძის და ნათია პურანიძის მონაწილეობით კონცერტი გაიმართა.

ლონსიძე ცნობილ ტელეწამყვან ნიკოლოს წულუკიძეს მიჰყავდა. კონცერტზე შესრულდა ყველათვის კარგად ნაცნობი და საყვარელი პიესები.

ლონსიძეს ქსნობდნენ ბორჯომბაკურიანს და ქიათურასწერის მტროპოლიტი **დანილო**, დეკანოზი **ოიანე სეცურაძე**, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის თანამშენებელ ტურის დარგში **გიორგი ბუგინაშვილი**, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების უფროსი **შალვა გოგოლაძე**.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროექტის „ქართული სიმღერის რეკონსტრუქციის ფარგლებში, ბორჯომში, ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში, ლა ცის ქვეშ ქართული ცხტრადის მომღერლების - ნეკა სუბო სვერდის, აიკო ნიფარაძის, დავით ნოზაძის და ნათია პურანიძის მონაწილეობით კონცერტი გაიმართა.

## გაიმართა ქალბატონი რეკონსტრუქციის პროექტი



30 ივლისს 19 საათზე, ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში გაიმართა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კამერული ორკესტრის „ოპერის კამერატას“ კონცერტი.

ლონსიძეების ორგანიზატორია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. **დასწრება თავისუფალია, გთხოვთ მობრძანდეთ!**



ახალგაზრდობა იმედი სხალის!

სიყვარულისთვის ღირს ცხოვრება

მასობრივ ბანსარ ღონისძიებაში პირველი ნაბიჯები თეატრში, 19 წლის ასაკში, ბორჯომის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში გადადგმა სწორედ თეატრის თეატრი აღმოაჩინა მისთვის...

SELFIE



სეიფილია, მახარებს და ამისთვის მადლობელი ვარ. თუ შემოვიტყუებოდი სხვა ნენ სამუდამოდ სხვა ქვეყანაში წასვლას, სად წავიდოდი და რატომ?

- შეხვედით საკუთარ თავს რამდენ წელს მისცემდით?
- 25 წელს, 29 წლის გამოცდილებით.
● არსებობს განსხვავება ცხოვრებასა და არსებობას შორის?
- მატერიალურ მდგომარეობას არასდროს არ შეუშლია ხელი ჩემთვის...

- ბავშვობის ყველაზე ბედნიერი მოგონება?
- სკოლაში შესვლა, პირველი კლასი, ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა.
● თუ გეჩვენებდით შანი, შეცვლილი მხოლოდ ერთი დეტალი თქვენს ცხოვრებაში, რა იქნებოდა ეს?
- გასტროლის სიმძირვე გავქვს და ალბათ ამას შევცვლიდი.

- ნარმოიდინეთ, რომ ბუნებრივად გახდით მოწიფის ფაქტორი რა ტანსამაშს უფრო გეხატებოდათ?
- თეატრი არის დიდი პოზიტივი სავსე ისევე ჩემ პროფესიას, მასობრივად.
● გაცინეთ ის რაზეც ოფიციალურად ოცნებობდით და ვერ აიხრებოდათ?
- მინდა საკუთარი გასარნობი ცენტრი მქონდეს.

- თუ შემოვიტყუებოდი სხვა ნენ სამუდამოდ სხვა ქვეყანაში წასვლას, სად წავიდოდი და რატომ?
- დიდი ბრიტანეთი მიზიდავს თავისი ისტორიით, შემოქმედებით შექმარის ქვეყანაში წავიდოდი, ლონდონის ძველი არქიტექტურა მინარჩული წყობა და ის სიამაყე, რაც ინგლისისთვის თავსებადი, ყველაფერი მომწონს.
● ბოლოს როდის მოისინებთ საკუთარი გულისცემა?
- პაპი (ივინსი) - გუმბირეში აზრით მასობრივ გულსცემას არასტანდარტული აქვს.

იმედი სხალის! ალტაცემა, სუჯა, სინანული და იმედი

26 მაისს დასასრულდა იმედი სხალისი, იმედი სხალისი და იმედი სხალისი... იმედი სხალისი და იმედი სხალისი...

7 ივნისს დილის 6 საათზე ბორჯომში, რუსთაველის მოედანზე შეიკრიბნენ 60 მოსწავლე. ბევრი ნაცნობი ყვირისული ნიკა გელაშვილი ტრანსპორტის რეგში მდგომს, მძღოლის გვერდით, წინასწარ დაჯავშნულ დედის ადგილს - ცხადია მასთან შეთანხმებით - მთავაზობს...

შედარებით მორიდებულად ვიყით. სანთლებს ვანთებთ, ცრემლებს ვერ ვიკავებთ, ექსკურსიამდობი ბატონი ნუგზარი ტაძარის ისტორიას გვამცნობს და გულდათუთულნი მარშრუტკაში ვბრუნდებით...



გვერდით მჯდომი ნიკა, უზომოდ რთულ და საშიშ გზას - თვალწინადადებულ თემზე ულამაზეს უფსკრულს დიდი ნერვიულობით „შეხედნენ“, რომელსაც არც მალავენ და აკანკალებულნი, თვალდახუჭულნი დიდ ფსიქოლოგიურ ნებსში იყვნენ.

შინაარსიანი ღვები ეპარქიაში

2019 წლის დეკემბერში უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით ბორჯომ-ბაკურაანის ეპარქიის დროებით მმართველად ჩაითარისა და საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი) დადგინდა. პანდემიის პერიოდი დაგვემთხვა და ჩვენ და მეუფე ერთმანეთს ვერ ვხვდებოდით...

სტუმართა სიმრავლემ სხვა ელფერი შესძინა დღესასწაულს, რომელსაც ეპარქიასთან ერთად მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი მამა ანდრია (ტარაილისი) მასპინძლობდა.

არც ერთი დღე არ შედეგობდა ისეთი ლამაზი და შედეგიანი, რომ არ ყოფილიყო ხელისუფლების მხარდაჭერა და გვერდზე დგომა, მათ სიტყვას ყოველთვის საქმე მოჰყვებოდა. გუბერნატორი ბატონი ბესიკ ამირანაშვილი, სახელმწიფო უსაფრთხოების რეგიონალური და ადგილობრივი სამსახურები, ქ. ბორჯომის მერი ბატონი იოანე არბოლიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი დავით ზალოშვილი, მუნიციპალიტეტის სამსახურები მუდმივად მზად იყვნენ ნებისმიერი საკითხის მოგვარებისათვის.

ერისა და ბერის ერთიანობას დეკანოზი მამა იოანე სეტყურიანი უძღვებოდა და ახერხებდა ყოფილიყო ყველგან და ყველასთან. ბორჯომის ეპარქიის მრევლის სახელით მადლობას ვუხდით მეუფე დანიელს იმ სიბრძნისთვის, რომელიც ასე გვენატრება და რომელსაც ასე გაცემს მეუფე იოანე შანიკა.

სანთის ტაძარში აღმოჩნდით. „ოთხთას“ გარდა, ყველაზე დიდხანს აქ შეჩერდით, მამა ვიტალიმ პარაკლისი, მამა ირაკლი მიცვალებულთა პანაშვიდი გადაიხადა, სანთლები დავანთეთ და გზა დოლის ყანისაკენ განვაგრძეთ...

ტაძრის მწვანედ აბინებულ ეზოში მუსლიმი მამაკაცები სხედან, ჩვენ წინდანი გვაფრთხილებენ, რომ

დასთავრდა ჩემი მოგზაურობის პირველი დღე და სასტუმროში გავეშურეთ დასაბნაველად სასტუმრო „გარან“ აღმოჩნდა წარმოშობით მუსლიმი ქართველის - დეკაქე ბრის კუთვნილება... და თურმე ტაოკლარჯეთში მამა არჩილის მოწყობილი ყოველი ტურის მონაწილე ნღები, ამ სასტუმროში ბინადებოდა.



### უკუღმობა!

დაგვიანებით გვიწევს ჩვენთვის საყვარელი, ყველაზე ახალგაზრდა შვილის მემორიალური - ლილი ნიდავას მემორიალური დაბადების დღის მილოცვა, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს, დიდხანს სიცოცხლეს და ღვთის წყალობას.

**ანდრია პირველწოდებულის სახელობის ბაქრის ნინაშვილის მამა გიორგი და მისი შვილები ნინა, ნინო, ნინუა.**

### დაბადების დღის ვაჟობა!

ჩვენს თბილ და მოსიყვარულე, ღვთიური მადლით მოხილ, ღირსეულ დედას და შვილიშვილების უსაზღვროდ მოსიყვარულე ბებიას, უნაზესსა და ულაშაზეს **ჯანიშან შარაქას** ვულოცავთ დაბადების დღეს, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და უფლის წყალობა არ მოკლებოდეს საყვარელ ოჯახთან ერთად, ჩვენო უკეთილშობილესო და უსაყვარესო ვაჟი, - ისარე და იდეგრძელები, მრავალწლოვანი!

### შენი შარაქაპი

მუდამ ნათელი, წრფელი, მოსიყვარულე გულით, ღმერთმა მოგმადლოს, ამინ! ლოცავ ამერს და იმერს ნემო ძვირფასო ვაჟი. მართლაც ზღაპრული დედა ხარ, ბებიაც ხარ, კარგო, დიდი ოჯახის დიასახლისო შენი ქმარშვილით ლაღობ, შვილიშვილებით ტკბობა, დიდი სიყვარულით **რუსა თინათინა**

### პრინციპული უწყობა

ბაკურიანელი რიმა ბანდარი სამთო-სათხილამურო შეჯიბრებებში საქართველოსა და საკავშირო ასპარაზობების მრავალჯერ მონაწილეა. ის ცნობილი ქართულ ფილმში „ყვავილი თოვლზე“ ვაჟიშვილის დედად იყო. გაზეთ „ბორჯომში“ მუშაობდა დაწინაურდა ამ ქალბატონის შესახებ. მიუხედავად ოჯახური ტრადიციისა - ქალბატონი რიმა შვილისა და შვილიშვილის სიყვარულით მოეხსნა და რა უნდა იყოს ამაზე საშინელი ადამიანისთვის - მისი სულის სიმტკიცე, სტუმართმოყვარეობის და ხალხის სიყვარულის შეგრძნება ისევე შენარჩუნებული აქვს. ადრევე აღვნიშნავდით, რომ მას ნებისმიერი ასაკის ადამიანთან შეუძლია საერთო ენის გამოხატვა და მეგობრული საუბარი. უყვარს სტუმრები, სენტემენტალური არაა და ვაჟბატონი შენარჩუნებული ცხოვრებისეულ სიძნელეებს. უყვარს ძველი ამბების მოყოლა, იტონებს თავის სპორტულ წარმატებებს, მაშინდელი სპორტსმენების ყოფას და განსაკუთრებული სიამაყით მიანც „ყვავილი თოვლზე“ გადაღებულ ისტორიებს დეტალურად. წელს ქალბატონი რიმა 86 წლის გახდა. მისთვის ყოველთვის განსაკუთრებულია სასიამოვნოა, როცა სტუმრებს მასპინძლობს. ორიოდე წლის წინ „საბატიო ბაკურიანელის“ ნოდერი მიენიჭა. წლებულსაც ბაკურიანის განვითარების სააგენტოს თანამშრომლებმა **ნაია რიმა ორბელიანი** ხელმძღვანელობით მოლოცვის გარეშე არ დატოვეს და მიულოცეს ეს დასაფასებელი თარიღი, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უსურვეს ქალბატონ რიმას.



### 8 ივლისი - ფესვიანი „ჭაკათნი“

მიმდინარე წლის 5-6 ივლისს, ბორჯომის მინერალური წყლების პარკში, კურორტის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა ბავშვთა ფესტივალი „ჭაკათნი“, რომლის სულისჩამდგმელი გახლავთ ქალბატონი **ციციო ბიჭიკაშვილი**. ამ ფესტივალის შესახებ გამოეხმაურა ბევრი რაიონული გაზეთი, საიდანაც იყვენ ჩამოსული ფესტივალის მონაწილეები. 8 ივლისს, საღამოს საკონცერტო დარბაზში მსმენელებით გაივსო. ზაფხულის სეზონზე ქალაქში, განსხვავებული რწმენის და შეხედულების დამსვენებელს შეხვდებით. ჩვენი ბორჯომი ხომ კურორტია და აი, სცენა ეთმობა ბათუმის, რევაზ ლალიძის სახელობის ხელოვნების სკოლას (დირექტორი **ნატალია ორბელიანი**). პატარების გუნდის (ხელმძღვანელი **მაგდა მათითიშვილი**), რომლებმაც განსხვავებული ჰანგები, ჰიტები, სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციული სიმღერები შესარულეს. პატარების გუნდი შეცვალეს დიდებმა. საოცარი მოსასმენი იყო მათი სიმღერები. დარბაზში ტაშის გოგია — „ბრავო“ და „ვივა“ ისმოდა. ეს საოცარი სახაობა იყო.



მეორე განყოფილება მშვიდი გამოდგა, სცენაზე მეორე კლასელი **ელენე მეფარიძე**. ისმის ვოლინოს ჯადოსნური ხმა. ამ პატარას ნათელი მომავალი აქვს. მეხუთე კლასელმა **ბაიო მიქელაძემ** სოლო კონცერტით (ფორტეპიანო) ჩააწყნარა დარბაზი. სასწაული სიჩუმე სუფევდა. ყველა განაბული უსმენდა. რა ცოტა უნდა ბედნიერებას. დარბაზს კმაყოფილი ღიმილით ტოვებდნენ მსმენელები, არც ბორჯომელებს შეშლიათ სტუმართ-მასპინძლობა. მუსიკალური სკოლის კარები ღია იყო ფესტივალზე ჩამოსული მონაწილეებისათვის. 7 ივლისს ბორჯომის მუსიკალური სკოლის მოსწავლეები გამოვიდნენ: **მარიამ აბრუაძე** (ნანა ფრუძის კლასი), ილია **ალთუნაშვილი**, **მარიამ გაგლოშვილი**, **შალვა და ივანე არბოლიშვილები** (პედაგოგი **მარინა გაბაშვილი** კლასი). ბორჯომი პოეტების, მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების შთაგონების წყარო იყო ყოველთვის. 1925 წლის ზაფხულში - აბასთუმანში მომავალი ზაქარია ფალიაშვილი სოფელ სადგერში, ორიოდე დღით შეჩერდა. დილით აივანზე ჩაის მირთმევდა, ეზოში დურგლები მუშაობდნენ. უეცრად ერთ-ერთმა მათგანმა „თაო ჩემო“ წამოიწყო. ბატონი ზაქარია ძალიან აღელდა და სკამზე მოუსვენრად ცქმუტავდა. შემდეგ კი, როდესაც დურგალმა სიმღერა დაამთავრა, ეზოში ჩაირბინა, გაოგნებულმა ხელოსანი გადაკოცნა. ჩვენ ნიჭიერი გენი ვართ, - უთქვამს ზაქარიას. ხალხური სიმღერების და კომპოზიტორთა შემოქმედების ნაირფერი ჰანგებით შეიკობილი მუსიკალური კვირეული ერთ დიდ ლამაზ თაიგულს დაეშვას და იგი ჩვენი ბავშვების, ახალგაზრდების შეგობობას მიეძღვნა.

დალი ქარაქა.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59  
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.  
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.  
ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: პალმრინა ლომიძე  
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იხილეთა შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თვედორე მღვდლის ქ. №57.  
borjomi@inbox.ru

### სადამე გაშდით ფეს და საბანს...

**რა დაიქვებით დასაწება ამ ზაფხულს**  
საკვებ პროდუქტზე პირველადი მოხმარების ნივთებზე, წამლებზე, ბუნუნზე და მოკლედ გაზრდილი ფასები, ცხადია, პრდაპრ აისახა ზაფხულში, დასვენებისთვის გადადებულ სარეგებზე. ის თანხა, რაც, საკმარისი იქნებოდა შარშან ან შარშან წინ, მაგალითად, ოთხსულაიანი ოჯახის დასვენებისთვის ზღაზე თუ მთაში, წელს აღარ გეყოფათ. დარგის სპეციალისტები თვლიან, რომ გარდა ინფლაციისა, პანდემიის პერიოდში წარმოქმნილი „ტურისტულმა შიმშილმა“ და დღეს, საკურორტო ბიზნესის, ფაქტობრივად, თავიდან გაცოცხლებამ, კურორტებზე ბინებისა და სასტუმროების ფასების ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში, ურეკსა და შეკვეთილს შორის მდებარე პატარა სოფელ კაპოვანში, თუკი 2020 წელს ერთ კოტეჯს, ლამები 100 დოლარად დაიქარავედით, დღეს მისი ფასი 150 დოლარია. ანუ, დამსახურებული დასვენება მოკრძალებული ხარჯებით წელს ვერ გამოგივათ, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ბინაც უნდა დაიქარათ, საჭმელადაც კვების ობიექტებს უნდა მიაკითხოთ და ბათუმის კენჭებიან სანაპიროზე პირსახოცის გაშლის ნაცვლად, შეზღონგისკენ უნდა გაგაქცეთ თვალი.

### მთის კურორტები - გაუჩინი, ბორჯომი

„პურის გამოცვლის“ მოტეით, გამსაკურებელი ოჯახები, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, ხშირად უპირატესობას მთის კურორტებს ანიჭებენ. თან მინიმუმ, ორი კვირით მაინც ერთ ერთი ყველაზე მოთხოვნადი კურორტი, ზაფხულშიც ბაკურიანია. წელს ბაკურიანში ოთხსულანი ოჯახს ორი კვირით, ანუ 13 ღამით დაიბნავება, სულ მინიმუმ 700 ლარი დაუჯდება ოღონდ უნდა გაითვალისწინოთ, რომ ერთი დღილი მშობლებმა უნდა დაინვირონ სანოღმა მთორე - გასაშუღლ სავარტელში და ცხადია, საკვეზბუც თავად უნდა იზრუნონ თუმცა, მაგალითად, 1325 ლარც რომ გადაიხადოთ, ამ ფასთან ბინაზე იგივე განლაგებით მოგიწევთ დაძინება, უბრალოდ, შესაძლოა, ბინის რემონტი და ხარისხი იყოს უფრო გაუშანს შემოგარენში, 14 დღითა და 13 ღამით, 18 000 ლარადაც იბოვით. დასალოებით იგივე ფასად, 800-1400 ლარად იქრავებს ოთხსულანი ოჯახი 13 ღამით ბინას ბორჯომში. სასტუმროს საუზმის ჩათვლით კი 4000 ლარად. რაც შეეხება სასტუმროებს საუზმისა და ცხენით სეირნობის ჩათვლით, მათი ფასები 5000 ლარადან იწყება და 10 ათასს სცდება. გააჩნია, რამდენ ვარსკვლავს ამითვლით სასტუმროს შესავლელის დაფაზე. პარალელურ ფრენასაც თუ გადაწყვეტთ, მაშინ ერთი კაცზე 300 ლარს გადახდა მოეჩვენოთ მოხვეურ სხვადასხვა თუ გინდათ გაუსინჯოთ გემო, ერთი ცალი მოხვეურ სხვადასხვა 150 ლარი უნდა გაითვალისწინოთ. **გიორგი კამარინა** „საბატიო“ 25-26 ივლისი 2022 წ.



### საქართველოს პრემიერ თქვეთანაც აბრას უნებენ??

21 ივლისს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაცურებელთა თეატრის სპექტაკლის - **ალექს ჩიღინაძის „თქვეთანაც აბრას უნებენ?“** პრემიერა გაიმართა, ჩვენება ორ სენსად 17:00 და 19:00 საათზე ჩატარდა. ერთ პატარა ქართულ ოჯახში განვითარებულმა ზღაპრულმა, არარეალურმა ამბავმა რეალურ ყოფით პრობლემებთან ერთად მაცურებლის მოწონება უმაღლვე დაიმსახურა. პატარა მაცურებელთან ერთად მოზრდილი მაცურებელიც ვერ მალავდა დადებით ემოციებს. მსახიობთა თითოეულ ფრაზას, მიმიკას თუ უსტუკულაციას ერთნაირი ღიმილით ხვდებოდა. ტელევიზორიდან გადმოსულმა მხიარულმა პანდამ, მაცივარში მცხოვრებმა თეთრმა დათვმა და საათის „გუგული დეიდა“, საოცარად მოწუნსა მაცურებელი. დასწრება თავისუფალი გახლდათ და მას ადგილობრივი მაცურებლის გარდა უამრავი ჩამოსული სტუმარი დაესწრო. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი - **ლუკა ინჭირველი** გახლავთ. ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი ერთი წლის წინ დაინიშნა ბორჯომის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულ სახალხო თეატრის ხელმძღვანელად. აქედან გამომდინარე, ბატონო ლუკა ერთგვარად მასპინძელიც გახლდათ თეატრალური დასის და ასევე სტუმარიც საკუთარი სპექტაკლით. მნიშვნელოვანი გახლდათ კიდევ ის, რომ სპექტაკლში მთავარ როლს ბორჯომელი, უმწვენიერესი და უნიჭიერესი მსახიობი **მარიამ ჩურუკიძე** თამაშობდა. როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა აღნიშნა, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაცურებელთა თეატრი წლების წინაც ყოფილა ბორჯომში და როგორც არანაყოფიერებმა და გემოვნებთანმა მაცურებელმა, ბორჯომელმა მაცურებელმა არაერთხელ დაამახსოვრა მათ თავი. სპექტაკლის ჩვენება ბორჯომის გარდა 22 ივლისს ახალციხეში, ხოლო 23 ივლისს ასპინძაში გაიმართა და ამით ერთგვარად დაასრულა თეატრმა საიუბილეო 95-ე სეზონი. სპექტაკლი განხორციელდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო-ს მხარდაჭერით



მომავალა **ნაგო მალიაიძე**

### ბიძები „დაამუხრეს“ ეს მინთა მონაქონს



**ანა გამოყვარება სახეობაი სახლი ქალაქის მხარეში ქალაქის სახლი გოლოტი, რედაქციის წინააღმდეგ იმართა და პარაგრაფი სარედაქციო, ვინ არის ამ სახლის პარაგრაფი? ნეთუ მისი დადგანა შეაძლებელია? ან დადგანა მისი გარემოების მოახსოვრობა.**  
ქი მარამ, რედაქცი უნდა „აშუაწებად“ ეს გააპარებაი შენობა ქალაქს.  
სხვათაშორის გააკარა შეაშინებას რედაქცი ილაგან უსწორი ბაკურიანი სარედაქციო ამ სახლთან. ნეთუ ქალაქი სახლის მხარეში მონაქონს პასუხი, ან მხარეში მონაქონს სახლი, ან გაყოფი.